საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№110/3

2021 წელი, 27 დეკემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის წევრების: გივი მიქანაძის, გიორგი ამილახვარის, ანრი ოხანაშვილის, დავით მათიკაშვილის, რატი იონათამიშვილის, ალუდა ღუდუშაურის და გურამ მაჭარაშვილის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: გივი მიქანაძის, გიორგი ამილახვარის, ანრი ოხანაშვილის, დავით მათიკაშვილის, რატი იონათამიშვილის, ალუდა ღუდუშაურის და გურამ მაჭარაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/148; 22.12.2021) საქართველოს ორგანული კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი